ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....

..... 5000526514 ..... 201 წ.

04.02.2014

5000526514

მოქალაქე ალექსანდრე ახვლედიანს

(თბილისი ს.მეტრეველის ქ. N 16)

ბატონო ალექსანდრე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2014 წლის 29 იანვრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1000568114) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000570014 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84 (995 32) 225 84 84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia (995 32) 229 05 24
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 info@forensics.ge
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia (995 431) 21 30 03
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145 info@forensics.ge
145 Pushkini str. Batumi., Georgia (995 422) 27 94 30
info@forensics.ge

000570014

ექსპერტის დასკვნა № 000570014

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

მისამართი: თბილისი ს.მეტრეველის ქ. N 16

სახელი და გვარი: ალექსანდრე ახვლედიანი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

თეიმურაზ მუხაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 50 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. შესაძლებელია თუ არა ა. ახვლედიანის საკუთრებაში არსებული 120 მ² ფართის ოდენობით, სართული 2 სარდაფით დემონტაჟი სრულად, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მასთან მიჯნით მდებარე საცხოვრებელ ფართს? თუ შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია ექ სპერტის, თუ რა სახით დემონტაჟია უფრო უსაფრთხო?

2. რამდენად უსაფრთხოა მომიჯნავე ფართისთვის ა. ახვლედიანის საკუთრებაში არსებული სახლის დემონტაჟის შემდეგ სამშენებლო სამუშაოების წარმოება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომიჯნავე ფართს?

3. რა შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეს, ბზარი გაუჩნდეს ან სხვაგვარად შეირყეს სამშენებლო სამუშაოების დროს მომიჯნავე ფართი და რა ეკრძალება კონკრეტული ფართის მშენებელს კატეგორიულად მომიჯნავე ფართის უსაფრთხოებიდან გამომდინარე?

4. არის თუ არა ა. ახვლედიანის და მეზობლის საკუთრებაში არსებული გვერდიგვერდ მდგომი შენობები (საცხოვრებელი სახლები) ერთი და იგივე დროს აშენებული და აქვთ თუ არა მათ საერთო საძირკველი?

5. შეაფასეთ ქ. თბილისში, გაგარინის ქ. #8-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

შემოსვლის თარიღი: 29.01.2014წ

გასვლის თარიღი: 04.02.2014წ

დასკვნა

გაგარინის ქ. #6 და #8-ში განთავსებული მოქ. ა. ახვლედიანისა და მოქ. ვ. წვერავას ბინების შემოწმებით მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხი შემდეგია:

1. ქ. თბილისში, გაგარინის ქ, #6-ში მდებარე მოქ. ა. ახვლედიანის საკუთრებაში არსებული სცხოვრებელი სახლის ზომებით გეგმაში 12x10 მ დემონტაჟი შესაძლებელია სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ხელით, მექანიზმების გამოყენების გარეშე.

2. იმისათვის, რომ #6 სახლის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის შემდეგ ახალი შენობისათვის მოწყობილმა ქვაბულმა უარყოფითი

ზემოქმედება არ მოახდინოს #8 შენობის კონსტრუქციებზე საჭიროა ქვაბულის ფერდი #8 შენობის განაპირა განივი კედელის გასწვრივ გამაგრდეს ნარანდი (შპუნტის) რ/ბ კონსტრუქციით.

3. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების არაკვალიფიცირებულად შესრულების შემთხვევაში არ არის გამორიცხული ახალმა მშენებლობამ გამოიწვიოს #8 შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანება.

4. #6 და #8 შენობები ერთი და იგივე დროს არის აშენებული და გააჩნიათ საერთო საძირკვლები.

5. დღეისათვის გაგარინის ქ. #8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თეიმურაზ მუხაძე

გამოკვლევა

2014 წლის 31 იანვარს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, გაგარინის ქ. #6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის ზეგავლენის საკითხი მასთან მიჯნით გაგარინის ქ. #8-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე (ფოტო 1).

აღნიშნული ორივე შენობა ორსართულიანია სარდაფით, თვითოეულის ზომებით გეგმაში 12x10 მ. შენობები აშენებულია ერთი და იგივე დროს, გასული საუკუნის 60 წლებში და მათი კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მზიდი აგურის კედლების ვარიანტში. ორივე შენობაში, სარდაფის ნაწილში სიმაღლით 2,8 მ, 40 სმ სისქის კაპიტალური კედლები შესრულებულია მონოლითური ბეტონის ვარიანტში. ზედა სართულებზე კაპიტალური კედლები სისქით 38 სმ, სიმაღლით 3,35 სმ შესრულებულია მაღალი სიმტკიცის მქონე წითელი აგურისაგან სუსტ ცემენტ-ქვიშის ხსნარზე. სარდაფში გადახურვის კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონისაა, ხოლო I, II სართულებზე გადახურვების კონსტრუქციები ხისაა. ორქანობიანი ხის სახურავი დაფარულია თუნუქის ბურულით.

შემოწმებით დადგინდა, რომ გაგარინის ქ. #6-ში განთავსებული მოქ. ა. ახვლედიანის ბინა ფართით 120 მ² გამოყოფილია გაგარინის ქ. #8-ში განთავსებული იმავე ფართის მოქ. ვ. წვერავას ბინისაგან შენობის ცენტრალურ ნაწილში გამავალი განივი კაპიტალური კედლით (ფოტო 2).

გაგარინის ქ. #8-ში მდებარე შენობის გარე კაპიტალურ კედლებში დეფორმაციები ან დაზიანები არ აღინიშნება (ფოტო 3, ფოტო 4). II სართულზე ტორსულ კედელთან მიმდებარე ოთახში ჰორიზონტალური მიმართულების ბზარია გაჩენილი კედლისა და ჭერის შეუღლების ზონაში (ფოტო 5). შენობის #6 და #8 ნაწილების გამყოფი განივი კაპიტალური კედლის II სართულზე სხვადასხვა მიმართულების ბზარი გამოვლინდა სანკვანძის შელესვაში (ფოტო 6) და კედელთან ტიხრის შეერთების კვანძში (ფოტო 7). მთლიანობაში გაგარინის ქ. # 8-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია აგრეთვე #8 შენობის ეზოს მხარეს II სართულზე მოწყობილი 2,5 მ სიგანის აივნის ტექნიკური მდგომარეობა (ფოტო 8).

გაგარინის ქ. #6 და #8-ში განთავსებული მოქ. ა. ახვლედიანისა და მოქ. ვ. წვერავას ბინების შემოწმებით მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხი შემდეგია:

1. ქ. თბილისში, გაგარინის ქ, #6-ში მდებარე მოქ. ა. ახვლედიანის საკუთრებაში არსებული სცხოვრებელი სახლის ზომებით გეგმაში 12x10 მ დემონტაჟი შესაძლებელია სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ხელით, მექანიზმების გამოყენების გარეშე.

2. იმისათვის, რომ #6 სახლის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის შემდეგ ახალი შენობისათვის მოწყობილმა ქვაბულმა უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინოს #8 შენობის კონსტრუქციებზე საჭიროა ქვაბულის ფერდი #8 შენობის განაპირა განივი კედელის გასწვრივ გამაგრდეს ნარანდი (შპუნტის) რ/ბ კონსტრუქციით.

3. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების არაკვალიფიცირებულად შესრულების შემთხვევაში არ არის გამორიცხული ახალმა მშენებლობამ გამოიწვიოს #8 შენობის მზიდი კონსტრუქციების დაზიანება.

4. #6 და #8 შენობები ერთი და იგივე დროს არის აშენებული და გააჩნიათ საერთო საძირკვლები.

5. დღეისათვის გაგარინის ქ. #8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თეიმურაზ მუხაძე

გამოყენებული მასალები

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3




ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8